



მონაცემთა ბაზის
სისტემა

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #35 ივნისი, 2014

გამოშვებაში
წაიკითხავთ


გაეროს ელ-მმართველობის კვლევა 2014:
საქართველოს მორიგი წინსვლა რეიტინგში

1 გაეროს ელ-მმართველობის კვლევა 2014: საქართველოს მორიგი წინსვლა რეიტინგში

2 CERT.GOV.GE მსოფლიოს ავტორიზებული "CERT"-ების ჩამონათვალში შევიდა

3 კორეის რესპუბლიკა: საჯარო სერვისების ყოველწლიური ფორუმი

3 მოქალაქის პორტალს MY.GOV.GE ახალი ელექტრონული სერვისები დაემატა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2014 წლის ელ-მმართველობის კვლევის მიხედვით, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, საქართველომ ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი 16 ერთეულით გაიუმჯობესა და 193 ქვეყანას შორის 72-ე ადგილიდან 56-ე ადგილზე გადაინაცვლა. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს, რომ გაეროს ელ-მმართველობის ინდექსში, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება, საქართველო მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის.

ამა თუ იმ ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების საერთო დონის შეფასებისას საქართველო 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 2012 წელს 28 საფეხურით დაწინაურდა და 190 ქვეყანას შორის მე-100 საფეხურიდან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა, წელს კი 56-ე ადგილი დაიკავა. ამ მაჩვენებლით საქართველო უკვე არის რეგიონის ლიდერი და უსწრებს თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, უკრაინას და სხვა.

„ნიშანდობლივია, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც ელ-მმართველობის მაღალი ინდექსი აქვთ, სოლიდურ რესურსებს ხარჯავენ ამ მიმართულებით, საქართველოს კი ამ მხრივ გაცილებით მწირი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ნაჩვენები შედეგი შთამბეჭდავია, რაც იმ ფართომასშტაბიანი სამუშაოს შედეგია, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, ხოლო ამ მიმართულებით ლიდერი ორგანიზაციები არიან იუსტიციის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროები (გაგრძელება გვ.2).

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

my.gov.ge
www.my.gov.ge

საპროცესო სერვისების განვითარების სისტემა
www.sda.gov.ge

საპროცესო სერვისების განვითარების სისტემა
www.napr.gov.ge

საინფორმაციო მემორიალი
www.archives.gov.ge

www.nbe.gov.ge

www.notary.ge

საპროცესო სერვისების განვითარების სისტემა
www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
www.eAuction.ge

www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.1)

ელექტრონული მმართველობის პრიორიტეტულობის მაჩვენებელია ისიც, რომ საქართველოში მოქმედებს ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ხოლო მოადგილე კი იუსტიციის მინისტრია. აღნიშნული წარამეტბა კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს, რომ საქართველო ელ-მმართველობის განვითარების თვალსაზრისით სწორ გზაზე დგას და ეს მიმართულება ჩვენი ქვეყნის მდგრად განვითარებასაც უზრუნველყოფს.“ - აღნიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, **ალექსანდრე ბურჭულაძემ**.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პლატფორმების გამოყენების მხრივ. აღნიშნულ სეგმენტში, 2014 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო 17 საფეხურით დაწინაურდა და 66-ე პოზიციიდან 49-ე ადგილზე გადაინაცვლა.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელ-მმართველობის ინდექსი ყველაზე სანდო და აღიარებული საშუალებაა იმის განსაზღვრად თუ რომელ ქვეყნებს აქვთ პროგრესი ამ მიმართულებით. აღნიშნული კვლევა 2003 წლიდან ხორციელდება. მაშინ საქართველო 179 ქვეყანას შორის 153-ე ადგილზე იმყოფებოდა. 2010 წელს საქართველოს რეიტინგი მე-100 ადგილით განისაზღვრა. ამავე წელს დაიწყო ფუნქციონირება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, რომელიც ქვეყანაში ელ-მმართველობის განვითარებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანოა. დღეს უკვე ინდექსში 193 სახელმწიფო მონაწილეობს და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010 წლიდან 2014 წლამდე საქართველო 44 საფეხურით დაწინაურდა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.“ - განაცხადა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული მმართველობის მსოფლიო ინდექსის მიზანია გაზომოს კონკრეტული ქვეყნის წარმატება ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალურ მოწყობაში, პოლიტიკის განსაზღვრასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. 2014 წლის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობას არაურბანულ, დაშორებულ რეგიონებში. განსაკუთრებით აღინიშნა ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა მობილური სერვისები, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამთავრობო და კერძო ინსტიტუტების მომსახურების ხელმისაწვდომობა და სხვა მსგავსი ინოვაციები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლევას სამი ძირითადი მიმართულებით აწარმოებს: ონლაინ სერვისების სპექტრი და ხარისხი, ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მდგომარეობა და ადამიანური რესურსების ჩართულობის ხარისხი.

კვლევაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ელექტრონული საიდენტიფიკაციო საშუალებების (eID) დანერგვას. აქ საქართველო მოხსენიებულია კანადასთან, ფინეთთან, იაპონიასთან, ახალ ზელანდიასთან და სინგაპურთან ერთად.

საქართველო მოხვდა იმ ქვეყნების სიაშიც, სადაც მაღალია სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდების სოციალურ ქსელებთან ინტეგრირების ხარისხი.

ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის მიხედვით პირველ სამეულში არიან სამხრეთ კორეა, ავსტრალია და სინგაპური, ხოლო ევროპის მასშტაბით ლიდერი ქვეყანა კი საფრანგეთია.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი (CERT.GOV.GE) მსოფლიოს ავტორიზებული „CERT“-ების ჩამონათვალში შევიდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო წარმატებით იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე. სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი (CERT.GOV.GE) ოფიციალურად შევიდა იმ უწყებების ჩამონათვალში, რომლებსაც საერთაშორისო ასპარეზზე მსგავსი სახელწოდებით ფუნქციონირების უფლება აქვთ მინიჭებული.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კარნევი-მელონის უნივერსიტეტმა დაუდასტურა, რომელიც “CERT“-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნის მფლობელია (გაგრძელება გვ.3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.2)

„საქართველოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი უკვე შესულია “CERT”-ების იმ ჩამონათვალში, რომელიც კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის მიერ ოფიციალურად არის აღიარებული. ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა, რამდენადაც კარნეგი-მელონის უნივერსიტეტი ამ სიაში თავს უყრის შესაბამისი პროფილის მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სხვადასხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნა და აკმაყოფილებენ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ ნორმებს“. - აღნიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ**.

CERT.GOV.GE ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაზე მომუშავე მთავარ ორგანოს წარმოადგენს.

კორეის რესპუბლიკა: „საჯარო სერვისების ყოველწლიური ფორუმი“




მიმდინარე წლის 23-27 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე ორგანიზატორების მიწვევით დაესწრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ „საჯარო სერვისების ყოველწლიურ ფორუმს“, რომელიც კორეის რესპუბლიკაში გაიმართა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შედგა ელ-მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრები, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სამუშაო შეხვედრებზე განხილულ იყო ელ-მმართველობის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სიტუაცია და გაზიარებულ იქნა დაგროვილი

გამოცდილება, ასევე შეხვედრების ბოლოს გაკეთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელ-მმართველობის ინდექსის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია.

მოაქლასის პორტალს MY.GOV.GE ახალი ელექტრონული სერვისები დაემატა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოქალაქის პორტალზე (MY.GOV.GE) ახალი ელექტრონული სერვისების ინტეგრაცია დაასრულა.

ყველა დაინტერესებულ მომხმარებელს პორტალის მეშვეობით შესაძლებლობა აქვს საკუთარი ან სხვა პიროვნების სტატუსი აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში გადაამოწმოს. აღნიშნული სერვისით სარგებლობისთვის მომხმარებელმა სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ უნდა აირჩიოს სექცია „მოვალეთა რეესტრი“. თუ აღნიშნული პიროვნება არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, სისტემა მომენტალურად გამოიტანს შესაბამის შეტყობინებას,

ხოლო თუ მომხმარებელს სურს ამავე რეესტრში სხვა პიროვნების სტატუსის გადამოწმება, ამისათვის საჭიროა შეივსოს „მოვალის ინფორმაციის საძიებო ფორმა“.

მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისები (გაგრძელება გვ.4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.3)

მომხმარებელს საშუალებას აქვს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით ისარგებლოს სახელმწიფო სტრუქტურების ელექტრონული სერვისებით და მნიშვნელოვნად დაზოგოს როგორც დროითი, ისე ფინანსური რესურსები.

მოქალაქის პორტალით **MY.GOV.GE** სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი პირადობის მოწმობა, ისე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის დარეგისტრირებაც ერთჯერადი პროცედურის გავლით იუსტიციის სახლებშია შესაძლებელი.

მოქალაქის პორტალზე მომხმარებელი რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით მიიღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების გადახდა.

მოქალაქის პორტალის მეშვეობით მომხმარებელს ასევე შეუძლია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და პასუხიც პორტალზევე მიიღოს.

მოქალაქის პორტალზე ყველა ელექტრონული სერვისი შესაბამისი კატეგორიების მიხედვითაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველის არჩევას. მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს მისთვის საჭირო ყველა ის მომსახურება, რომელსაც ხშირად იყენებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს პირად გვერდზე. დღეისათვის პორტალზე განთავსებულია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2

თბილისი 0102, საქართველო

ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40

ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Unsubscribe”**.